# კარი III
# სასამართლოების დაფინანსება

## 1. საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვა

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება მიმართულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეალური მდგომარეობის ანალიზისა და ფინანსური ასპექტების გათვალისწინებით, სასამართლოს მიმდინარე აუცილებელი ხარჯების დასაფარავად, აგრეთვე თანამშრომელთა მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად, სასამართლოს საქმიანობისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სხვა ძირითადი საშუალებებით უზრუნველსაყოფად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებანი შეადგენს 5545,0 ათას ლარს. შრომის ანაზღაურებაში გაიხარჯა 3705.6 ათასი ლარი, რაც მოიცავს: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა და აპარატის მოხელეთა თანამდებობრივ სარგოს. დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში გაიცა ორგანიზაციის მუშაკებზე პრემიები და კანონმდებლობით დადგენილი დანამატი.

2013 წლის განმავლობაში საქონლისა და მომსახურების საკასო ხარჯებმა შეადგინა 1200.7 ათასი ლარი, მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება შეადგენს 152.5 ათას ლარს, თანამშრომელთა მივლინების საკასო ხარჯმა შეადგინა 76.4 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებმა – 617.5 ათასი ლარი, წარმომადგენლობითმა ხარჯმა – 53.4 ათასი ლარი, სამედიცინო ხარჯებმა – 4.3 ათასი ლარი, რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯებმა შეადგინა 14.2 ათასი ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯმა შეადგინა 233.6 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯებმა – 48.8 ათასი ლარი.

აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის მუხლში საკასო ხარჯმა შეადგინა 26.6 ათასი ლარი, ხოლო სხვა ხარჯების მუხლში – 47.9 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების მუხლში საკასო ხარჯმა შეადგინა – 243.2 ათასი ლარი.

უზენაესი სასამართლოს საქმიანობისათვის გამოყოფილი ასიგნებები მიმართულ იქნა სასამართლოს საფოსტო (მარკა, კონვერტი, გზავნილები) ხარჯების, კომუნალური მომსახურების (გათბობის მიზნით საწვავის, ელექტროენერგია, წყალი, დასუფთავება, ინტერნეტი) და სხვა ხარჯების დასაფინანსებლად; შეძენილ იქნა სხვადასხვა ფორმები (ბლანკები, სარეგისტრაციო ჟურნალები), ტექნიკის სახარჯი მასალები, საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი. სასამართლოს შენობას ჩაუტარდა სამღებრო-სარემონტო სამუშაოები. შეძენილ იქნა სამსახურებრივი სარგებლობის 3 (სამი) მსუბუქი ავტომანქანა. უზენაესი სასამართლოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისათვის შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა, სხვადასხვა სახის საოფისე ავეჯი და ინვენტარი.

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფაქტობრივი დაფინანსება საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან**
**FACTUAL FINANCING OF THE SUPREME COURT OF GEORGIA FROM THE STATE BUDGET OF 2013**

## მიმდინარე წლის ხარჯი
## Current Expense

თანხა ლარებში Amount in GEL

| ხარჯის კოდი Code of expense | ხარჯების დასახელება Name of expense | დაზუსტებული გეგმა Accurate plan | საკასო ხარჯი Cash expense | შესრულება % of execution |
|---|---|---|---|---|
| | საერთო ხარჯები Common expenses | 5545000 | 5223998 | 94.22 |
| 21 | შრომის ანაზღაურება Salaries | 3720000 | 3705555 | 99.61 |
| 22 | საქონელი და მომსახურეობა Goods and Services | 1435000 | 1200701 | 83.67 |
| 27 | სოციალური უზრუნველყოფა Social maintenance | 45000 | 26633 | 59.18 |
| 28 | სხვა ხარჯები Other expenses | 55000 | 47922 | 87.13 |
| 31 | არაფინანსური აქტივები Non-financial assets | 290000 | 243187 | 83.86 |

## 2. საერთო სასამართლოების დაფინანსება

საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებები გაწერილი იყო ბიუჯეტის შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით:

1. სასამართლო სისტემა
2. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: სასამართლო სისტემა

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა 09 01

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

მოსამართლეთა და სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესება: დატვირთულობის მიხედვით დაუწესდათ ყოველთვიური დანამატები თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებს, მოადგილეებს, კოლეგიისა და პალატის თავმჯდომარეებს, მოსამართლეებს, თბილისის საქალაქო სასამართლოების თავმჯდომარეს, კოლეგიის თავმჯდომარეებსა და მოსამართლეებს, გაერთიანებული სასამართლოს თავმჯდომარეებს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს, ასევე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ მოსამართლეებს. შრომის ანაზრაურების მულში არსებული ეკონომიის ფარგლებში განხორციელდა მოსამართლეთათვის დანამატების, ხოლო სასამართლოს აპარატის თანამშრომლებზე პრემიების გაცემა. განხორციელდა მოსამართლეთა ჯანმრთელობის დაზღვევა. მოსამართლეებს, რომლებსაც სამოსამართლო უფლებამოსილების განსახორციელებლად თვითმმართველ ქალაქში (მუნიციპალიტეტში) არ ქონდათ საცხოვრებელი ბინა, გამოეყოთ საცხოვრებელი ფართის დაქირავებისათვის საჭირო ხარჯები.

საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა: განხორციელდა საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი ყველა სასამართლოს დარბაზის (სულ 200 დარბაზი) ვიდეო ჩაწერის სისტემით აღჭურვა. დასრულდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით სასამართლო პროცესის ჩატარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა. დასრულდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის შენობის სამშენებლო სამუშაოები და აღჭურვა ავეჯითა და სხვა ინვენტარით. წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მართლმსაჯულების სახლის სამშენებლო სამუშაოები. საერთო სასამართლოების შენობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მოეწყო პანდუსები. ჩატარდა 38 სასამართლოს შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, კერძოდ: თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავისა და ფოთის საქალაქო, მცხეთის, ახალციხის, გორის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, ხელვაჩაურის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, ზესტაფონისა და სამტრედიის რაიონულ, სენაკის, წალენჯიხის, ქედის, შუახევის, ქობულეთის, ბაღდათის, ტყიბულის, თერჯოლის, ჭიათურის, წყალტუბოს, ლენტეხის,

მესტიის, თიანეთის, ასპინძის, წალკის, ქარელის, კასპის, ახმეტის, დედოფილსწყაროსა და ჩოხატაურის მაგისტრატ სასამართლოებში. საერთო სასამართლოები უზრუნველყოფილ იქნა ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საქონლითა და მომსახურებით.

<u>სასამართლო სისტემაში საქმისწარმოების ხარისხის ამაღლება და სრულყოფა:</u> დასრულდა საქმისწარმოების პროგრამაში ახალი სისხლის სამართლის, საგამოძიებო მოქმედებების და აღმკვეთი ღონისძიებების მოდულების დამატება. დასრულდა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის შექმნა.

<u>სასამართლო ხელისუფლების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების გაუმჯობესება:</u> სასამართლო სისტემის რეფორმისა და სასამართლო სისტემაში მიმდინარე სხვადასხვა სიახლეების გაშუქებისა და მოსახლეობის ინფორმირების მიზნით განხორციელდა საგაზეთო ჩანართების მომზადება. რადიომაუწყებელის საშუალებით, სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმისა და მედიაციის პროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება. ჩატარდა კვლევა საქართველოს სასამართლო სისტემის შესახებ მოსახლეობაში არსებული საბაზისო ცოდნისა და აღქმისა და სასამართლოს მომხმარებელთა განწყობების და დამოკიდებულების შესწავლის მიზნით.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: <u>განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება</u>

2.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: <u>მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება 09 02</u>

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

მიმდინარეობდა მოსამართლეობის კანდიდატების (იუსტიციის მსმენელების) ორი ჯგუფის სწავლება 10 თვიანი სასწავლო პროგრამის ფარგლებში. აქედან ოცდაოთხმა მსმენელმა დაასრულა სწავლა, წარმატებით ჩააბარა პროგრამით გათვალისწინებული გამოცდები.

ასევე, რეგულარულად მიმდინარეობდა მოსამართლეების, მოსამართლის თანაშემწეებისა და სასამართლოს სხვა თანამშრომლების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

## საერთო სასამართლოების დაფინანსება საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან

## FINANCING OF COMMON COURT FROM THE STATE BUDGET OF GEORGIA OF 2013

თანხა ათას ლარებში Amount in thousand GEL

| ხარჯების დასახელება | დაზუსტებული გეგმა Aaccurate plan | საკასო ხარჯი Cash expenses | შესრულება % Execution | Name of expenses |
|---|---|---|---|---|
| საერთო სასამართლოები | 38162 | 37322.2 | 97.8 | Common court |
| ხარჯები | 31,364.4 | 30,699.7 | 97.9 | Expenses |
| შრომის ანაზღაურება | 23,060.7 | 22,924.1 | 99.4 | Salaries |
| საქონელი და მომსახურება | 7,635.4 | 7,195.2 | 94.2 | Goods and service |
| გრანტები | 4.9 | 0.0 | 0.0 | Grants |
| სოციალური უზრუნველყოფა | 222.5 | 209.6 | 94.2 | Social guarantees |
| სხვა ხარჯები | 440.9 | 370.8 | 84.1 | Other expenses |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 6,786.6 | 6,622.5 | 97.6 | Increase of non-financial assets |
| ვალდებულებების კლება | 11 | 0 | 0.0 | Decrease of responsiblities |